ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4253460

ნომერი: AR1641734

თარიღი : 02.11.2018

გაცემის თარიღი : 07.11.2018

გაცნობის თარიღი : 08.11.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დაბა ზაჰესი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით სიხარულიძე პ/ნ 01023003590
- თბილისი სანზონა კორ. 10"ბ" ბ. 31

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის#14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 02 ნოემბრის AR1641734 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, დაბა ზაჰესში მდებარე მიწის ნაკვეთძე (საკადასტრო კოდი: 72.12.01.761) სამშენებლოდ გამოყენების პირობების ცვლილებას,

პასუხად გაცნობებთ, რომ ტერიტორია მდებარეობს სარეკრეაციო ზონა 3-ში, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ დასასვენებელი, სამკურნალო, სპორტული და გასართობი გამოყენების ტერიტორიებს;

აღნიშნულ ზონაში თქვენ მიერ მოთხოვნილი ფუნქციური დანიშნულების ობიექტი (მარცვლეულის შესანახად განკუთვნილი სასოფლო სამეუერნეო დანიშნულების საწყობი) დასაშვებია იმ შემთხვევაში თუკი უზრუნველყოფს ზონისა და მასში დაშვებული შენობა-ნაგებობის ფუნქციონირებას. მისი დამოუკიდებლად განვითარება ვერ მოხდება.

სარეკრეაციო ზონა 3-ისთვის დასაშვები სახეობებია:

სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3)

ა) ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების ძირითადი დასაშვები სახეობები:

პარკი;

ბაღი;

სკვერი;

ბულვარი;

მცირე არქიტექტურული ფორმები: საპარკო პავილიონი, როტონდა, ფანჩატური, პერგოლა, ურნა, ტრელაჟი, საბავშვო მოედანი, შედრევანი, დეკორატიული აუზი, წყლის სასმელი შადრევანი, კასკადი, არხი, ღია კიბე და პანდუსი, საყრდენი კედელი და სხვა;

სკულპტურულ-არქიტექტურული მონუმენტი;

სპორტული მოედანი;

პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტი;

ჯიხური ან/და დროებითი პავილიონი (სავაჭრო ან/და საგამოფენო);

საწყალოსნო ობიექტი (ნავმისადგომი, ელინგი);

დასასვენებელი სახლი;

დასვენების ბანაკი და ბაზა;

სასკოლო და სკოლამდელი ასაკის საბავშვო სპეციალიზირებული (სახელოვნებო, შშმპ და სპორტული) დაწესებულებები;

დასვენების ბანაკი და ბაზა;

სანატორიუმი;

სასტუმრო.

საზოგადოებრივი ტუალეტი;

ბ) ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საგამონაკლისო დასაშვები სახეობები, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას:

სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლი;

სამაყურებლო ობიექტი (ესტრადა, ამფითეატრი, საგამოფენო დარბაზი, კინოთეატრი);

მოხუცთა, ბავშვთა და სხვათა ინტერნატი;

საავადმყოფო;

პოლიკლინიკა;

ამბულატორია;

სპორტული შენობა-ნაგებობა (საწვრთნელი ბაზა, სპორტული მოედანი, სტადიონი, სპორტდარბაზი, ღია და დახურული საცურაო აუზები);

ატრაქციონი;

კაფე, რესტორანი;

ზონისა და მასში დაშვებული შენობა-ნაგებობის ფუნქციონერებისთვის განკუთვნილი ადმინისტრაციული შენობა, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, სახელოსნოები, გარაჟები და საწყობები);

მხოლოდ ზონისთვის შესაბამისი ფუნქცის შერჩევის შემთხვევაში შეძლებს სასმსახური იმსჯელოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის კუთხით.

ასევე, ვინაიდან ითხოვთ ახალი ფუნქციური დანიშNულების ობიექტის განთავსებას მიწის ნაკვეთზე, საჭიროა წარმოდგენილ იქნას საინფორმაციო დაფა-ბანერი „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 40-ე მუხლის შესაბამისად.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი

ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.

დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 30 სამუშაო დღე. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2018 წლის 02 ნოემბრის AR1641734 განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.